დაცვის საერთაშორისო პროცედურის სახელმძღვანელო ირლანდიაში

www.unhcr.ie

UNHCR
The UN Refugee Agency

ჩვენ შესახებ

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ოფისი არის გაეროს ორგანო, რომელსაც მინიჭებული აქვს მანდატი, დაიცვას ის ხალხი, რომლებმაც იძულებით დატოვეს საცხოვრებელი და უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება სხვა ქვეყნებში. „UNHCR-ის (გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი)“ ირლანდიის ადგილობრივი ოფისი მუშაობს ლტოლვილთა, ირლანდიაში თავშესაფრის მაძიებელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებისა და კეთილდღეობის დასაცავად, სახელმძღვანელო დებულებების, ტრენინგების მეშვეობით; ასევე უფლებამოსილი პირების ხელშეწყობითა და კანონმდებლობაში, პოლიტიკასა და პროცედურებში საერთაშორისო საუკეთესო სტანდარტის დახმარებით. ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ ასევე უზრუნველვყოფთ ხელშეწყობას, მხარდაჭერასა და რჩევებს ინდივიდუალურად ლტოლვილთათვის, თავშესაფრის მაძიებელთათვის და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის.

2016 წლის დეკემბერში ირლანდიაში ახალი კანონი - საერთაშორისო დაცვის აქტი 2015 - შევიდა ძალაში. ის აყალიბებს დაცვის ახალ ერთიან პროცედურას ირლანდიაში საერთაშორისო დაცვის განაცხადთა განსახილველად. აღნიშნული საინფორმაციო ბუკლეტი წარმოადგენს ახალი კანონისა და თავშესაფრის მიცემის ახალი პროცედურების ძირითადი ცვლილებების მიმოხილვას და მიზნად ისახავს, დახმარება გაუწიოს ირლანდიაში საერთაშორისო დაცვის მაძიებელ ადამიანებსა და იმ პირებს, რომლებიც მუშაობენ თავშესაფრის მაძიებლებთან.[1]

გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები

ისინი წარმოადგენენ ორგანიზაციებს, რომლებიც განიხილავენ თქვენი საერთაშორისო დაცვის განაცხადს.

საერთაშორისო დაცვის ოფისი „IPO-(International Protection Office)“

IPO, ირლანდიის ნატურალიზაციის და იმიგრაციის სამსახური „INIS-(Irish Naturalisation and Immigration Service)“, პასუხისმგებელია საერთაშორისო დაცვის განაცხადთა განხილვაზე. საერთაშორისო დაცვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას IPO-ს თანამშრომელთა დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია ირლანდიის კანონით. ირლანდიაში თავშესაფრის მოსათხოვად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ნავსადგურით შედიხართ, უნდა მიმართოთ IPO-ს პირადად. მან ჩაანაცვლა ლტოლვილთა განაცხადების განმხილველი კომისარიატის „ORAC-(Office of the Refugee Applications Commissioner)“ ოფისი 2017 წლის დასაწყიში. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: www.ipo.gov.ie

საერთაშორისო დაცვის სააპელაციო ტრიბუნალი „IPAT-(International Protection Appeals Tribunal)“

IPAT არის დამოუკიდებელი ტრიბუნალი. ის განიხილავს იმ პირთა აპელაციებს, რომლებზეც IPO-მ რეკომენდაცია გასცა, რათა არ მიეღოთ საერთაშორისო დაცვა (ლტოლვილის სტატუსი ან დამატებითი დაცვა). მან ჩაანაცვლა ლტოლვილთა სააპელაციო ტრიბუნალი „RAT-(Refugee Appeals Tribunal)“ 2017 წლის დასაწყისში. დამატებით ინფორმაციისათვის ეწვიეთ: www.protectionappeals.ie

[1] უარის თქმა: აღნიშნული ბუკლეტი განკუთვნილია მხოლოდ ინფორმაციული მიზნისთვის. ის არ წარმოადგენს სამართლებივ რჩევას და შესაძლებელია, შეიცვალოს. დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთსაერთაშორისო დაცვის ოფისის საინფორმაციო ბუკლეტი განმცხადებელთა საერთაშორისო დაცვის შესახებ www.ipo.gov.ie

1 ერთიანი პროცედურა

2015 წლის საერთაშორისო დაცვის აქტის ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს განმცხადებელთა საერთაშორისო დაცვის ახალი ერთიანი განხილვის პროცედურა. ეს ნიშნავს, რომ ლტოლვილის სტატუსი, დამატებითი დაცვა და დარჩენის ნებართვა - ყველა ზემოაღნიშნული განიხილება ერთიანად ერთსა და იმავე პროცედურაში. ეს თავიდან აგვაცილებს ზედმეტ გაჭიანურებას თავშესაფრის პროცედურებში.

ლტოლვილის სტატუსი

დამატებითი დაცვა

დარჩენის ნებართვა

ერთიანი პროცედურა

2 განაცხადების პროცედურა

დიაგრამა უზრუნველყოფს ირლანდიაში ახალი განაცხადების პროცედურების მიმოხილვას და წაკითხულ უნდა იქნეს ქვემოთ მოცემულ ტექსტთან ერთად თითოეული საფეხურისთვის. დეტალური სქემა მოცემულია ამ საინფორმაციო ფურცლის უკან.

საფეხური 1
განაცხადი საერთაშორისო დაცვის ოფისს

საფეხური 2
წინასწარი გასაუბრება

საფეხური 3
კითხვარი

საფეხური 4
ინდივიდუალური გასაუბრება

საფეხური 5
გადაწყვეტილება

საფეხური 6
წარუმატებელი მიმართვისას საერთაშორისო დაცვის განმხილველი ტრიბუნალი

საფეხური 7
თუკი მიმართვა წარუმატებელია, გადაიხედება დარჩენის ნებართვაზე გადაწყვეტილება

წარმატებით მიღების შემთხვევაში

ლტოლვილის სტატუსი, დამატებითი დაცვა ან ნებართვა დარჩენაზე

საფეხური 1 მიმართვა საერთაშორისო დაცვის თაობაზე

თქვენ შეიძლება მოითხოვოთ საერთაშორისო დაცვა როგორც ქვეყნის საზღვარზე, ასევე IPO-ში, თუკი უკვე ქვეყანაში იმყოფებით. თქვენ შეიძლება მოითხოვოთ საერთაშორისო დაცვა თქვენი სახელით და/ან თქვენზე დამოკიდებული 18 წლამდე ასაკის ბავშვების სახელით. თუკი თქვენი შვილები დაბადებული არიან ქვეყანაში, ან შემოვიდნენ მაშინ, როდესაც დაცვის პროცედურაში ჩაერთეთ, ისინი ავტომატურად ექვემდებარებიან თქვენს მოთხოვნასიმ შემთხვევაში, თუკი ისინი არ არიან ირლანდიის მოქალაქეები. როგორც ბავშვებთან ერთად განმცხადებელი, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროცედურების განმავლობაში დაიწყოთ რომელიმე დაცვის გამოყენება, რომელიც დაკავშირებულია როგორც ბავშვებთან, ასევე თქვენთან.

Tusla-ს, ბავშვისა და ოჯახის სააგენტოს, შეუძლია მოითხოვოს არათანმხლები ბავშვების საერთაშორისო დაცვა საკუთარი მზრუნველობის ქვეშ.

საფეხური 2 წინასწარი გასაუბრება

თუკი თქვენ ითხოვთ საერთაშორისო დაცვას სახელმწიფო საზღვრებზე, როგორიცაა აეროპორტი ან საზღვაო პორტი, თქვენ გაგესაუბრებათ იმიგრაციის ოფისის და/ან IPO-ს თანამშრომელი. აღნიშნულის მიზანია ისეთი წინასწარი ინფორმაციების შეგროვება, როგორებიცაა: იდენტურობის, წარმოშობის ქვეყნის, იმ მარშრუტის დადგენა, რომლითაც თქვენ ირლანდიაში გაემგზავრეთ და ზოგადი საფუძვლები, რომელზე დაყრდნობითაც ითხოვთ საერთაშორისო დაცვას. თუკი წინასწარი გასაუბრება არ ჩატარდა ქვეყნის საზღვრებზე, მაშინ ის ჩატარდება IPO-ში.

წინასწარი გასაუბრება ასევე განიხილება, თუკი თქვენი განცხადება დასაშვებია. რაც გულისხმობს, რომ IPO-ს თანამშრომელი გადაწყვეტს, შეგიძლიათ თუ არა თავშესაფრის მოთხოვნით მიმართოთ ირლანდიას. თქვენ არ შეგიძლიათ, ასე მოიქცეთ, თუკი მონიჭებული გაქვთ ლტოლვილის სტატუსი; ან დამატებითი დაცვა ევროკავშირის წევრ რომელიმე სხვა ქვეყნაში; ან ევროკავშირის გარეთ არის სხვა ქვეყანა, რომელმაც მოგანიჭათ ლტოლვილის სტატუსი; ან ნებას გაძლევთ დაბრუნდეთ იქ, სადაც დაცული იქნებით.

რა მოხდება, თუკი ჩემი განცხადება არ არის დასაშვები?
თქვენ მიიღებთ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას IPO-სგან, რომელშიც გათვალისწინებული იქნება განსაზღვრული დრო IPAT-ში აპელაციის წარსადგენად. IPAT-ის აპელაცია უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

თუკი თქვენი წინასწარი გასაუბრება ჩატარდა სახელმწიფო საზღვრებზე, თქვენ გადაგამისამართებენ IPO-ს შენობაში. IPO-ში თქვენ და თქვენზე დამოკიდებულ პირებს აგიღებენ ანაბეჭდებს და გადაგიღებენ ფოტოებს. ეს ინფორმაცია მიზნად ისახავს თქვენი იდენტობის დადგენას და დუბლინის დადგენილების შესაბამისობის გარკვევას თქვენს საქმესთან.

შემდეგ თქვენ გამოგეყოფათ ყოველდღიური საცხოვრებელი სერთიფიკატი, რაც გულისხმობს, რომ თქვენ გაქვთ ირლანდიაში ყოფნის ნებართვა საერთაშორისო დაცვის განაცხადისთვის. ეს არ არის ოფიციალური პირადობა, თუმცა მუდამ თან უნდა გქონდეთ. ის შესაძლოა განახლდეს დაცვის პროცედურების განმავლობაში.

საფეხური 3 კითხვარი

IPO-ს თანამშრომელი გადმოგცემთ საინფორმაციო ბუკლეტს ერთიან პროცედურაზე და კითხვარს, რომელიც უნდა შეავსოთ და დაუბრუნოთ IPO-ს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კითხვარის შევსებამდე წინასწარ წაიკითხოთ საინფორმაციო ბუკლეტი და მოითხოვოთ სამართლებრივი დახმარება.

მნიშვნელოვანია, რომ კითხვარი შეავსოთ სრულად და მიუთითოთ ზუსტი ინფორმაცია თქვენი საერთაშორისო დაცვის საჭიროებაზე. თუკი კითხვარის რომელიმე ნაწილს ვერ გაიგებთ, დახმარებისთვის მიმართეთ თქვენს წარმომადგენელს.

სადაც შესაძლებელია, კითხვარი უნდა დაბრუნდეს 20 სამუშაო დღის განმავლობაში მაგალითად 4 კვირაში. ეს ეხმარება IPO-ს განაცხადების შეძლებისდაგვარად ეფექტურად განხილვაში. თუკი გჭირდებათ დამატებითი დროკითხვარის შესავსებად ან იურიდიულ მრჩეველთან კონსულტაციისთვის, IPO გარანტიას აძლევს განმცხადებლებს, რომ მოქნილობა იქნება უზრუნველყოფილი. თუკი აღნიშნული თქვენც გეხებათ, გაესაუბრეთ თქვენს წარმომადგენელს ან აცნობეთ პირდაპირ IPO-ს (იხილეთ გვერდი 21 საკონტაქტო ინფორმაციისთვის).

მნიშნელოვანია, რომ მიაწოდოთ რაიმე დამხმარე დოკუმენტაცია იმაზე, რაც, შესაძლოა, შეესაბამებოდეს თქვენს განაცხადს. ეს მოიცავს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია თქვენი დარჩენის ნებართვის განაცხადთან.

საფეხური 4 პირადი გასაუბრება

IPO გადმოგიგზავნით წერილს თქვენი გასაუბრების დანიშვნის შესახებ. მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია, თქვენთვის დაინიშნოს თარჯიმანი. თუ გაქვთ დამატებითი ინფორმაცია და/ან მტკიცებულება, კითხვარის გადაცემამდე სცადეთ, რომ წარადგინოთ ეს ინფორმაცია გასაუბრების ჩანიშვნამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე.

ეს გასაუბრება არის თქვენი შესაძლებლობა, რომ წარმოადგინოთ ყველა მიზეზი, თუ რატომ ითხოვთ დაცვას ირლანდიაში. გასაუბრების დღეს შეამოწმეთ, რომ თქვენ და თარჯიმანს გესმით ერთმანეთის.

თუ გირთულდებათ თარჯიმნის გაგება, ეს საკითხი წამოაყენეთ IPO-ს თანამშრომელთან, რომელსაც მიჰყავს ინტერვიუ. IPO-ს თანამშრომელს, რომელიც ინტერიუს ატარებს, წინასწარ ექნება წაკითხული თქვენ მიერ შევსებული კითხვარი და ეცოდინება თქვენი საქმის შესახებ. თუ გირთულდებათ IPO-ს თანამშრომლის მიერ დასმული შეკითხვების გაგება, სთხოვეთ მას, რომ გაიმეოროს. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სანამ მინისტრის მიერ მომზადდება მოხსენება თქვენი დარჩენის ნებართვის გადაწყვეტილების შესახებ, თქვენ ისევ გრჩებათ ვალდებულება, მიაწოდოთ ინფორმაცია მინისტრს ნებისმიერი ისეთი ვითარების ცვლილების თაობაზე, რომელიც დაკავშირებულია თქვენი დარჩენის ნებართვის განაცხადთან.

თუ გსურთ, რომ წარადგინოთ დამატებითი ინფორმაცია თქვენი დარჩენის ნებართვის განცხადების თვალსაზრისით, ეს თქვენი შესაძლებლობაა, რომ ასე მოიქცეთ. თქვენ ან თქვენმა წარმომადგენელმა, შესაძლოა, წერილობით წარმოადგინოთ განაცხადები თქვენ მიმართვასთან დაკავშირებით გასაუბრებამდე და გასაუბრების დღის ჩათვლით.

გასაუბრების წერილობითი ჩანაწერი შეინახება ინტერვიუერი IPO-ს თანამშრომლის მიერ. გასაუბრების დროს გარკვეული ინტერვალებით ინტერვიუერი გაჩერდება და გთხოვთ, რომ გადაათვალიეროთ იმის ჩანაწერი, რაც თქვენ ისაუბრეთ და დააზუსტოთ რაიმე, ან შეიტანოთ ცვლილება, თუკი საჭიროა. შემდეგ გთხოვთ, რომ ხელი მოაწეროთ

გასაუბრების ჩანაწერს, რათა დაადასტუროთ მისი სისწორე. თუკი გასაუბრების ჩანაწერში არის უზუსტობა, ან გამოტოვებულია რაიმე, მიაწოდეთ ინფორმაცია პირდაპირ ინტერვიუერს ისე, რომ შეგეძლოთ მისი დაზუსტება.

თქვენი წარმომადგენელი შეიძლება დაესწროს გასაუბრებას სურვილის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ, ეს არ არის მიღებული. მან ასევე შეიძლება გასაუბრებამდე გააკეთოს განაცხადები თქვენი სახელით. თუ თქვენ ხართ არათანხმლები ბავშვი, ინტერვიუს უნდა დაესწროს თქვენი მეურვე ან წარმომადგენელი Tusla-დან. გასაუბრება გადაიდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო. მნიშვნელოვანია, რომ აცნობოთ IPO-ს დაუყოვნებლივ, თუკი დანიშნულ დროს ვერ ახერხებთ გასაუბრებაზე დასწრებას. გასაუბრებიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.[2]

საფეხური 5 IPO-ს გადაწყვეტილება

გასაუბრების მიხედვით, IPO განიხილავს ყველა შესაბამის ინფორმაციას თქვენს საქმესთან დაკავშირებით. აღნიშნული მოიცავს გასაუბრების ჩანაწერს და შევსებულ კითხვარს. თუკი რეკომენდაცია არ გაიცემა ექვსი თვის განმავლობაში, თქვენ შეგიძლიათ IPO-სგან მოითხოვოთ ინფორმაცია საჭირო გადაწყვეტილების მისაღებად მიახლოებითი დროის შესახებ.

შესაძლო განსხვავებული შედეგები რეკომენდაციებისთვის განსაზღვრულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. რეკომენდაცია შეიცავს მტკიცებას ან მიზეზებს, თუ როგორ მივიდნენ ამ რეკომენდაციამდე თქვენი ინდივიდუალური განაცხადისთვის. რეკომენდაციაში გარკვეულმა დასკვნებმა, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს გასაჩივრების დროის პერიოდზე და ზეპირი მოსმენის დაშვებაზე IPAT-მდე.



[2] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ საერთაშორისო დაცვის განმცხადებელთათვის საერთაშორისო დაცვის ოფისის საინფორმაციო ბუკლეტის 4.5.12 პუნქტი.

თქვენ და/ან თქვენი წარმომადგენელი მიიღებთ რეკომენდაციას რეგისტრირებული ფოსტით. თუკი IPO რეკომენდაციას გასცემს, რომ მოგენიჭოთ ლტოლვილის სტატუსი, იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრი (მინისტრი) მოგცემთ ლტოლვილის დეკლარაციას რამდენიმე კვირაში. უკიდურესად გამონაკლის შემთხვევებში მინისტრი უფლებამოსილია, არ დაიცვას IPO-ს რეკომენდაცია მაშინ, როდესაც განმცხადებელი მიიჩნევა, როგორც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკი.

თუკი უარი გეთქვათ ლტოლვილის სტატუსზე, მაგრამ მოგენიჭათ დამატებითი დაცვა, თქვენ კვლავ გაქვთ უფლება, რომ მიმართოთ IPAT-ს ლტოლვილი სტატუსისთვის. თუკი უარი გეთქვათ ორივეზე - ლტოლვილის სტატუსზეც და დამატებით დაცვაზეც, მინისტრი გადაწყვეტს, მოგცეთ თუ არა „დარჩენის ნებართვა“. დარჩენის ნებართვის მონიჭებაზე ან უარის თქმაზე გადაწყვეტილების მიუხედავად, თქვენ კვლავ უფლებამოსილი ხართ, IPAT-ში გაასაჩივროთ გადაწყვეტილება საერთაშორისო დაცვაზე უარის შესახებ.

თუკი უარი გეთქვათ ლტოლვილის და/ან დამატებითი დაცვის სტატუსზე, თქვენ მიიღებთ გასაუბრების ჩანაწერის ასლს და წინადადებას გასაჩივრების უფლების შესახებ საერთაშორისო დაცვის სააპელაციო ტრიბუნალში. თქვენ ასევე მიიღებთ ინფორმაციას განსახორციელებელ პროცედურაზე და სააპელაციო ფორმას ასეთი აპელაციის წარსადგენად. თქვენი განცხადების შესაძლო შედეგებზე უფრო დეტალური ცხრილის გასაცნობად, გთხოვთ, გადაშალოთ უკან, საინფორმაციო ფურცელზე.

საფეხური 6 საერთაშორისო დაცვის სააპელაციო ტრიბუნალისთვის მიმართვა

თქვენ უფლებამოსილი ხართ, გაასაჩივროთ IPAT-ში IPO-ს რეკომენდაცია, რომ არ მოგენიჭათ ლტოლვილის სტატუსი ან დამატებითი დაცვა. არ არსებობს IPAT-ში გასაჩივრების საფუძველი, თუკი უარი გეთქვათ დარჩენის უფლებაზე.

აპელაციის ფორმა უნდა შეივსოს და წარედგინოს IPAT-ს შესაბამისი დროის შუალედში, რომლის შესახებაც გეცნობებათ თქვენს IPO-ს რეკომენდაციის წერილში. თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ აპელაციის ზეპირი მოსმენა, რაც დამოკიდებულია IPO-ს რეკომენდაციის წერილში მითითებულ დასკვნებზე.

თქვენ გეცნობებათ, როდესაც თქვენი აპელაციისთვის დაინიშნება მოსმენის დღე. მოსმენის დღეს, თუკი მოთხოვნილი იქნება თარჯიმანი, გთხოვთ შეამოწმოთ თქვენ და თქვენს თარჯიმანს გესმით თუ არა ერთმანეთის. თუკი გირთულდებათ თარჯიმნის გაგება, აღნიშნული საკითხი წამოაყენეთ ტრიბუნალის წევრის წინაშე. ზეპირ მოსმენას ესწრებით IPO-ს წევრი, ასევე, თქვენ, თქვენი ადვოკატი ან დამცველი და ტრიბუნალის წევრი. ტრიბუნალის წევრი უფლებამოსილია, მოითხოვოს მოწმის პირდაპირი დასწრება ტრიბუნალის წინაშე, რათა მისცეს ჩვენება დაცვის თქვენეული განაცხადის გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით.

თუკი IPAT-ი გააუქმებს IPO-ს უარყოფით რეკომენდაციას, მინისტრი შესაბამის დაცვის დეკლარაციასთან ერთად მოგანიჭებთ, მაგალითად, ლტოლვილის სტატუსს ან დამატებით დაცვას.

რა ხდება, თუკი IPO-სგან მივიღე ნებართვა დარჩენაზე და მინდა, რომ გავასაჩივრო ლტოლვილის სტატუსზე ან დამატებით დაცვაზე უარის მიღება?

თუკი მოგენიჭათ დარჩენის ნებართვა, თქვენ მაინც შეძლებთ IPO-ს რეკომენდაციის გასაჩივრებას საერთაშორისო დაცვაზე უარის შესახებ. თქვენ ასევე შეგიძლიათ დაარეგისტრიროთ თქვენი დარჩენის ნებართვა თქვენს ადგილობრივ საიმიგრაციო რეგისტრაციის ოფისში.

საფეხური 7 დარჩენის ნებართვის მიმოხილვა

თუკი მინისტრმა არ მოგანიჭათ დარჩენის ნებართვა და IPAT-ში თქვენი აპელაცია წარუმატებელია, მაშინ მინისტრი განიხილავს დარჩენის ნებართვის მონიჭებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებას, რათა დარჩეთ იქ, სადაც თქვენ წარადგინეთ რაიმე ახალი ინფორმაცია მას შემდეგ, რაც თავდაპირველი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. თქვენ მიიღებთ დარჩენის ნებართვის მიმოხილვის ფორმას შესავსებად. თქვენ გექნებათ 5 სამუშაო დღე ახალი ინფორმაციის წარსადგენად, ამიტომ დარწმუნდით, რომ შეგროვებული გაქვთ ყველანაირი დოკუმენტი, რომელთა წინასწარი წარდგენა გქონდათ გადაწყვეტილი. თუკი ვითარება შეიცვლება მინისტრის მიერ დარჩენის ნებართვის შესახებ წინასწარ გადაწყვეტილებასა და თქვენს აპელაციაზე IPAT-ის გადაწყვეტილებას შორის შუალედში და თქვენ ფლობთ დარჩენის ნებართვის განხილვისთვის რელევანტურ ახალ ინფორმაციას, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ მინისტრს.

მინისტრი ასევე უფლებამოსილია მოგანიჭოთ დარჩენის ნებართვა, თუკი დარჩენის ნებართვის წარუმატებლობის შედეგად ადგილი ექნება ლტოლვილთა გაძევების აკრძალვის დარღვევას (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 7. ხშირად დასმული კითხვები).

3 განმცხადებელთა უფლებები და ვალდებულებები

რა უფლებები მაქვს?

თქვენი უფლებები მოიცავს:

თუკი ხართ საერთაშორისო დაცვის მაძიებელი, თქვენი უფლებები მოიცავს:

- IPO-ს მიერ ირლანდიაში შესვლისა და დარჩენის ნებართვას თქვენი საერთაშორისო დაცვის განაცხადის განხილვისთვის, ან ნებისმიერი სახის სარჩელს IPAT-ში
- სამართლებრივი რჩევის მიღების უფლებას და ადვოკატის მიერ წარმომადგენლობის უფლებას
- ერთიანი პროცედურის განხორციელებისას პატივისცემით, ღირსეულად და თავაზიანად მოპყრობის უფლებას
- მინისტრისთვის თქვენი დაცვის განაცხადთან დაკავშირებული წერილობითი მტკიცებულებების წარდგენის უფლებას
- თარჯიმნის გამოყენების უფლებას საჭიროების შემთხვევაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კომუნიკაცია
- კონფიდენციალობის უფლებას
- უფლება, რომ ინფორმირებულ იქნეთ ნებისმიერი გასაუბრების, გადაწყვეტილების ან სხვა რელევანტური შეტყობინებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია თქვენი საერთაშორისო დაცვის განაცხადთან.
- „UNHCR-თან (გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი)" კომუნიკაციის უფლება

სამართლებრივი დახმარება ხელმისაწვდომია იურიდიული დახმარების საბჭოსგან „LAB-(Legal Aid Board)". ისინი გამოყოფენ თქვენთვის თავიანთ ადვოკატს ან მათთან მომუშავე კერძო ადვოკატს. აღნიშნული LAB ვალდებულია, რომ უზრუნველყოს წინასწარი სამართლებრივი რჩევები საერთაშორისო დაცვის განაცხადის ყოველგვარ საკითხზე. ეს, შესაძლოა, მოიცავდეს წინასწარ საინფორმაციო კონსულტაციას თქვენ მიერ კითხვარის შევსებამდე და კონსულტაციას გასაუბრებამდე, სადაც მოგეწოდებათ იურიდიული რჩევა თქვენი განაცხადის კონკრეტულ საკითხებზე, თქვენ მიერ შევსებულ კითხვარზე დაყრდნობით. ირლანდიის ლტოლვილთა საბჭოს დამოუკიდებელი სამართლებრივი ცენტრი ასევე უზრუნველყოფს წინასწარ სამართლებრივ დახმარებას უფლებამოსილების მიხედვით. თუკი თქვენ გაგაჩნია ფინანსები, შეგიძლიათ მოძებნოთ კერძო საადვოკატო მომსახურება.

თქვენი განაცხადის კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით უფლებამოსილი ხართ აირჩიოთ განსაზღვრული სქესის თარჯიმანი, რომელიც დაესწრება თქვენს გასაუბრებას ან აპელაციის მოსმენას. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული საკითხი წამოაყენოთ IPO-ს და/ან IPAT-ს წინაშე შეძლებისდაგვარად ადრე ისე, რომ წარადგინოთ ეს მოთხოვნა იქ, სადაც შესაძლებელია.

ყველანაირი ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია თქვენს განაცხადთან, განიხილება კონფიდენციუალურად და არ გამჟღავნდება თქვენი წარმოშობის ქვეყნის /იმ ქვეყნისთვის წარმომადგენლებისთვის, სადაც გაქვთ ჩვეულებრივი საცხოვრებელი, ან ირლანდიაში თქვენი ქვეყნის წარმომადგენლებისთვის.

რა არის ჩემი ვალდებულები?

თქვენი ვალდებულებები მოიცავს:

- ირლანდიის კანონებთან შესაბამისობას

ეს გულისხმობს ირლანდიის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების პატივისცემას.

- თანამშრომლობის ვალდებულება

როგორც ერთიანი პროცედურის განმცხადებელი, თქვენ გაქვთ აქტიური ვალდებულება, რომ ითანამშრომლოთ თქვენი დაცვის განცხადების შემოწმებისას და განცხადებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივრის დადგენისას. თქვენ ასევე უმოკლეს ვადაში, რამდენადაც ეს თქვენთვის შესაძლებელია, უნდა წარადგინოთ ყველანაირი საჭირო ინფორმაცია თქვენი განაცხადისა და სიმართლის დასადასტურებლად. თანამშრომლობის არარსებობამ, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს თქვენი დაცვის განაცხადის საბოლოო შედეგზე.

პროცედურული ვალდებულებები

თქვენი თანამშრომლობა მოიცავს შემდეგ ვალდებულებებს:

ა. მინისტრის თანხმობის გარეშე არ დატოვოთ, ან არ სცადოთ ირლანდიის დატოვება ერთიანი პროცედურის განმავლობაში;

ბ. დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოთ მინისტრს მისამართის ცვლილების და მისამართში ნებისმიერი ცვლილების შესახებ;

გ. დაემორჩილოთ წარმოდგენილ შეტყობინებებს, რომელიც შეიძლება მიიღოთ, როგორიცაა მოთხოვნა, რომ იცხოვროთ ან დარჩეთ გარკვეულ ტერიტორიაზე ან ირლანდიის ტერიტორიაზე და/ან შეატყობინოთ გარკვეული ინტერვალებით იმიგრაციის ოფისს, ან განსაზღვრულ Garda (პოლიციის) განყოფილებას;

დ. მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი, მისამართი, ეროვნება და პირადი ნომერი თქვენი დროებითი საცხოვრებელის მოწმობაზე IPO-სა და IPAT-ის ნებისმიერ კორესპონდენციაში;

ე. იყავით კეთილსინდისიერი თქვენი საერთაშორისო დაცვის განაცხადთან დაკავშირებით და შესაბამისი ინფორმაციით კითხვარის შევსებისას, რათა შემოწმდეს თქვენი განაცხადი;

ვ. შეინახეთ დოკუმენტაციის ყველა ასლი, რომელიც გადმოგეცემათ ან თქვენ გადასცემთ IPO-ს ან IPAT-ს.

შემიძლია ვიმუშავო მანამ სანამ მოწმდება ჩემი განაცხადი საერთაშორისო დაცვის შესახებ?

თუ თქვენ არ მიიღებთ IPO-სგან გადაწყვეტილებას დაცვის შესახებ თქვენს განაცხადთან დაკავშირებით 6 თვის განმავლობაში და დაგვიანება არ არის გამოწვეული თქვენი ქმედებების შედეგად, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სამუშაოს ნებართვის მოთხოვნით. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ: www.inis.gov.ie

4 სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

პრიორიტეტის მინიჭება

განმცხადებელთა გარკვეულ ჯგუფებს შეიძლება მიენიჭოს პრიორიტეტი IPO-ს მიერ. ეს გულისხმობს, რომ ასეთ განმცხადებლებთან გასაუბრება ჩაინიშნება რაც შეიძლება მალე. ეს წინასწარ არ განსაზღვრავს გადაწყვეტილებას, რომელიც უნდა მიიღებოდეს მსგავს სიტუაციებში, ან უზრუნველყოს დამატებითი გარანტია გადაწყვეტილების მიღების დროის შესახებ.

თქვენს საქმეს, შესაძლოა, მიენიჭოს პრიორიტეტი გარკვეული მიზეზების გამო, მათ შორის, როდესაც თქვენ ხართ 70 წელზე მეტის (და სხვაგვარად არ ხართ ოჯახის წევრების ჯგუფის ნაწილი), არათანმხლები ბავშვი, ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემის გამო ან თქვენი მოქალაქეობის ქვეყნის გამო (სირია, ერიტრეა, ერაყი, ავღანეთი, ირანი, ლიბია და სომალი).

IPO UNHCR-თან კონსულტაციის საფუძველზე გამოსცემს შეტყობინებას განაცხადების გარკვეული კლასებისთვის პრიორიტეტის მინიჭების შესახებ, რაც ხელმისაწვდომია აქ: http://www.ipo.gov.ie/en/ipo/pages/prioritisation_applicants

გამოხმობა

თქვენ თავისუფლად შეგიძლიათ ნებისმიერ დროს გამოიხმოთ თქვენი განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე ან აპელაცია, სანამ მომზადდება მოხსენება თქვენს განაცხადზე IPO-ს მიერ, ან IPAT მიიღებს გადაწყვეტილებას. მნიშვნელოვანია, რომ მოითხოვოთ სამართლებრივი რჩევა, სანამ გამოიხმობთ თქვენს განაცხადს, რათა სრულად გაიაზროთ ის შედეგები, რაც მოჰყვება გამოხმობას როგორც თქვენთვის, ასევე თქვენზე დამოკიდებული პირ(ებ)ისთვის. გამოხმობის შედეგად თქვენი განაცხადის განხილვა დასრულდება და მინისტრი უარს იტყვის ლტოლვილის სტატუსის ან დამატებითი დაცვის მონიჭებაზე.

ნებაყოფლობითი დაბრუნება

თქვენ გაქვთ არჩევანი, ნებაყოფლობით დაბრუნდეთ თქვენი წარმოშობის/ჩვეულებრივი საცხოვრებელის ქვეყანაში ერთიანი პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე. თუკი გადაწყვიტეთ დაბრუნება, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) უფლებამოსილია, გაგიწიოთ დახმარება და მოგცეთ რჩევა, მათ შორის მგზავრობის ფინანსური დახმარება. INIS-ის ნებაყოფლობითი დაბრუნების კავშირი ასევე უფლებამოსილია, აღმოგიჩინოთ დახმარება.

იმისთვის, რომ სასარგებლო იყოს თქვენი ნებაყოფლობითი დაბრუნება, ამ პროცესის დროს თქვენ უნდა გამოიხმოთ თქვენი განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე როგორც IPO-დან, ასევე უნდა გამოიხმოთ აპელაცია IPAT-დან. მინისტრი ასევე მოგაწვდით ინფორმაციას თქვენი წარმოშობის/ჩვეულებრივი საცხოვრებლის ქვეყანაში ნებაყოფლობითი დაბრუნების შესაძლებლობის შესახებ. პროცესის დასასრულს თქვენ უარი უნდა განაცხადოთ საერთაშორისო დაცვაზე ირლანდიაში და არ მოგენიჭებათ დარჩენის ნებართვა. დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ: https://www.youtube.com/watch?v=eX7GarY2rUE

ევროკავშირის დუბლინის დადგენილება

ევროკავშირის დუბლინის დადგენილება არის სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი წევრი ქვეყანაა პასუხისმგებელი საერთაშორისო დაცვის განაცხადის განხილვაზე. როდესაც თქვენ გააკეთებთ განაცხადს საერთაშორისო დაცვაზე, IPO გადმოგცემთ საინფორმაციო ბროშურას ევროკავშირის დუბლინის დადგენილებაზე. მნიშვნელოვანია, რომ ყურადღებით წაიკითხოთ ეს საინფორმაციო ბროშურა, რადგან შესაძლოა, მითითებული იყოს მიზეზები, თუ რატომ არის სხვა წევრი ქვეყანა პასუხისმგებელი თქვენი განაცხადის განხილვაზე, მათ შორის, თუ თქვენი ოჯახის წევრები იმყოფებიან ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში. თუკი განაცხადი ექვემდებარება ევროკავშირის დუბლინის დადგენილებას, თქვენ მიიღებთ დამატებით საინფორმაციო ბუკლეტს დუბლინის პროცედურასთან დაკავშირებით და მის მნიშვნელობას თქვენი ინდივიდუალური საქმისთვის.

შემდგომი განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე

თუკი უარი გეთქვათ ლტოლვილის სტატუსსა და დამატებითი დაცვის სტატუსზე და თქვენი განაცხადი დაიხურა, მინისტრის თანხმობაა საჭირო მეორე ან შემდგომი განაცხადის წარსადგენად ირლანდიაში საერთაშორისო დაცვაზე. თქვენ შეგიძლიათ მინისტრს წერილობითი განცხადებით მიმართოთ შემდგომ განაცხადზე თანხმობის მოთხოვნით. ის ფაქტორები, რომლებიც განიხილება, მოიცავს:

ა. რადგან წინა განაცხადის ახალი ინფორმაცია ხელმისაწვდომია, რაც ზრდის იმის ალბათობას, რომ თქვენ მიიღებთ საერთადშორიო დაცვას და რომ თქვენ ვერ შესძელით ამ ინფორმაციის წარდგენა წინა განაცხადის ადრეულ ეტაპებზე;

ბ. თუკი თქვენი წინა განცხადება გამოხმობილ იქნა ან ჩაითვალა გამოთხოვილად მაშინ, როდესაც თქვენ ვერ შეძელით წინა განაცხადის პროცესის გაგრძელება თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

თუკი მინისტრი უარს იტყვის საერთაშორისო დაცვის განაცხადის შემდგომ წარდგენაზე, თქვენ ჩაგბარდებათ დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელიც შეგიძლიათ გაასაჩივროთ IPAT-ში.

იურისდიქციის განხილვა

იურისდიქციის განხილვა არის უზენაესი სასამართლოს აღმასრულებელი ადმინისტრაციული ორგანოსა და ტრიბუნალის, მათ შორის IPO-ს და IPAT-ს, გზა, რათა შემოწმდეს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და კანონთან შესაბამისობა. იურისდიქციის განხილვა არ წარმოადგენს აპელაციას. ის ნებას რთავს განმცხადებელს, საკუთარ ადვოკატთან კონსულტაციის საფუძველზე მოსთხოვოს უზენაესი სასამართლოს, ირლანდიის ადმინისტრაციული სამართლის მიხედვით, სამართლებრივად გადახედოს IPO-ს და/ან IPAT-ს გადაწყვეტილებას; მაგალითად, სადაც გადაწყვეტილების მიღების დროს გამოვლინდება თქვენს განაცხადთან დაკავშირებული შეუსაბამობა კანონთან. თქვენი ადვოკატი გირჩევთ, არის თუ არა ის თქვენ

განაცხადთან შესაბამისობაში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასამართლოს იურისდიქციის განხილვისას არ შეუძლია გასცეს დადებითი რეკომენდაცია საერთაშორისო დაცვაზე, თუმცა შეიძლება მოსთხოვოს IPO-ს ან IPAT-ს ახალი გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს სამართლებრივი დასკვნების გათვალისწინებით. იურისდიქციის პროცედურებს განიხილავს იუსტიციის და თანასწორობის მინისტრი. გთხოვთ, გაესაუბროთ თქვენს ადვოკატს, რათა განსაზღვროთ, ამ შეხედულებიდან რომელიმე განიხილება თუ არა თქვენს საქმეში.

დაკავება

ზოგადად ირლანდიაში განმცხადებლების დაკავება არ ხდება დაცვის პროცედურების განხორციელების განმავლობაში. მიუხედავად ამისა, განსაზღვრულ შემთხვევებში განმცხადებელი შეიძლება დააპატიმრონ იმიგრაციის ოფისის ან Garda Síochána-ს (პოლიცია) საფუძვლის გარეშე, თუკი არსებობს გონივრული ეჭვი, რომ:

I. ქვეყანაში საფრთხე ექმნება ეროვნულ უსაფრთხოებას ან საჯარო წესრიგს;

II. თუკი ირლანდიის ფარგლებს გარეთ ჩაიდინა სერიოზული არაპოლიტიკური დანაშაული;

III. არ მიმართა გონივრული ძალისხმევა საკუთარი იდენტურობის დასამტკიცებლად;

IV. განზრახული აქვს ირლანდიის დატოვება და კანონიერი უფლების გარეშე სხვა ქვეყანაში შესვლა;

V. იქცევა ან განზრახული აქვს მოიქცეს ისე, რომ საფრთხე შეექმნას ქვეყანაში პირთათვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების სისტემას, ან სხვა წესრიგს, რომელიც დაკავშირებულია გადაადგილების არეალთან, ან

VI. გონივრული მიზეზის გარეშე გაანადგურა თავისი იდენტურობის დამადასტურებელი ან გადაადგილების დოკუმენტაცია; ან ფლობს ან ფლობდა ყალბ, გადაკეთებულ ან შეცვლილ იდენტურობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

ზემოაღნიშნულ გარემოებებში დაკავებული განმცხადებელი შეიძლება დაიჭირონ და ჰყავდეთ დაპატიმრებული, კანონით ამ მიზნებისთვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე. კანონის მიხედვით ბავშვები, მითითებული როგორც ნებისმიერი პირი 18 წლამდე, არ შეიძლება დაკავებულ იქნენ.

შემიძლია მივმართო საერთაშორისო დაცვისთვის, თუკი მე ვარ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ან დაკავებული?

თქვენ შეგიძლია მიმართოთ საერთაშორისო დაცვისთვის, თუკი ხართ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ან დაკავებული. თუკი გსურთ განაცხადის გაკეთება, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ საპატიმროს უფროსს ან Garda-ს პოლიციის განყოფილებას, სადაც დაკავებული ხართ. თქვენს საქმეს მიენიჭება პრიორიტეტი, თუკი დარჩებით პატიმრობაში განაცხადის განხილვის განმავლობაში.

სასამართლო განიხილავს ჩემს დაკავებას?

თუკი დაგაკავეს ზემოაღნიშნული საფუძვლით, თქვენ დაუყოვნებლივ წარგადგენენ იმ რაიონული სასამართლოს მოსამართლის წინაშე, რომელ ტერიტორიაზეც დაგაკავეს. რაიონული სასამართლოს მოსამართლე განიხილავს თქვენი დაკავების საკითხს, თქვენი საქმის კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით.

5 საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარები:

ჩემი, როგორც ბენეფიციარის, უფლებამოსილება საერთაშორისო დაცვის კუთხით

თუკი ლტოლვილი სტატუსს ან დამატებითი დაცვის შესახებ დეკლარაციას აღიარებთ, უფლებამოსილი ხართ:

- გქონდეთ ირლანდიაში ცხოვრების უფლება გარკვეული პერიოდით არაუმეტეს 3 წლის ვადით;
- მოიძიოთ ან დაიწყოთ სამსახური, ჩაერთოთ რაიმე ბიზნესში, ვაჭრობაში ან პროფესიულ საქმიანობაში;
- მიიღოთ განათლება და გაიაროთ ტრენინგები, როგორც ირლანდიის მოქალაქემ;
- მიიღოთ იგივე სამედიცინო და სოციალური უპირატესობები, როგორც ირლანდიის მოქალაქემ;
- მიიღოთ ირლანდიიდან ან ირლანდიაში გადაადგილების იგივე უფლებები, რომლებიც გააჩნია ირლანდიის მოქალაქეებს (გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ შეიძლება მოგთხოვონ ვიზა სხვა ქვეყანაში შესასვლელად).
- ლტოლვილის სტატუსის ან დამატებითი დაცვის მონიჭებიდან ერთი წლის განმავლობაში მიმართოთ მინისტრს, ოჯახის კონკრეტული წევრების ირლანდიაში შემოსვლის და თქვენთან ერთად გადაადგილების ნებართვის მისაღებად.

როგორ მივმართო გადაადგილების დოკუმენტაციის მისაღებად?

თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ მინისტრს გადაადგილების დოკუმენტაციის მისაღებად სააპლიკაციო ფორმის შევსების გზით. აუცილებელია გადასახადის გადახდა €80 ოდენობით. მინისტრი არ გამოსცემს გადაადგილების დოკუმენტს, თუკი: განმცხადებელმა არ მიაწოდა საჭირო ინფორმაცია; განცხადების განხილვისას პირს, რომელმაც მოითხოვა ზემოაღნიშნული, მინიჭებული აქვს დამატებითი დაცვა და შეუძლია მიიღოს ადგილობრივი პასპორტი; ან თუ მინისტრი ჩათვლის, რომ გადაადგილების დოკუმენტაციის გაცემა არ არის სასარგებლო ეროვნული უსაფრთხოებისთვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის ან საჯარო წესრიგისთვის ან ეწინააღმდეგება საჯარო პოლიტიკას.

თუკი მაქვს დარჩენის ნებართვა. შემიძლია მივმართო გადაადგილების დოკუმენტაციის მოთხოვნით?

თუკი მონიჭებული არ გაქვთ ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსი, მაგრამ გაქვთ ირლანდიაში დარჩენის უფლება, პასპორტის მოთხოვნით უნდა მიმართოთ თქვენი ქვეყნის საელჩოს. ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევებში პირებს, რომელთაც აქვთ დარჩენის უფლება და არ გააჩნიათ პასპორტი, შესაძლოა, იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრის მიერ მიეცეთ გადაადგილების ალტერნატიული დოკუმენტი.

ლტოლვილთა და ბენეფიციართა დამატებითი დაცვის უფლებები ზოგადად იგივეა, გარდა იმისა, რომ როგორც ლტოლვილს, გაქვთ უფლებამოსილება, მიიღოთ გადაადგილების დოკუმენტი. დამატებითი დაცვის ბენეფიციარი INIS-სგან მიიღებს მხოლოდ გადაადგილების დოკუმენტს, სადაც პირს არ შეუძლია მიიღოს ეროვნული პასპორტი მისი წარმოშობის ქვეყნიდან. ლტოლვილის სტატუსი არის საერთაშორისოდ აღიარებული 1951 წლის ევროკავშირის ლტოლვილთა კონვენციისა და მისი პროტოკოლის შესაბამისად. ლტოლვილები უფლებამოსილი არიან, ირლანდიის მოქალაქეობის მოთხოვნით მიმართონ სამი წლის შემდეგ მაშინ, როდესაც დამატებითი დაცვის ბენეფიციარებს მოუწევთ ხუთი წლის განმავლობაში ლოდინი.

თუკი უარი გეთქვათ ლტოლვილის სტატუსსა და დამატებით დაცვაზე, მაგრამ მონიჭებული გაქვთ დარჩენის უფლება, აღნიშნული ნებართვა იქნება 2004 წლის იმიგრაციის აქტის მე-4 ნაწილთან შესაბამისობაში. ნებართვის გაცემა შეიძლება განპირობებული იყოს კონკრეტული ვითარებით. აღნიშნული მოიცავს მოცემული ნებართვის დროის ხანგრძლივობას და რამდენად არის ნებადართული მუშაობა, ბიზნესი, თუ პროფესიული საქმინობა ქვეყანაში. დარჩენის ნებართვა, შესაძლოა, განახლდეს ვადის გასვლის შემდგომ; მიუხედავად ამისა, ხანგრძლივობა და პირობები, რომელიც გათვალისწინებულია მასში, ყოველ ჯერზე განახლდება.

პირს, რომელსაც მიენიჭა დარჩენის ნებართვა, არ აქვს ოჯახის გაერთიანების უფლება, საერთაშორისო დაცვის აქტის შესაბამისად. ის უფლებამოსილია, მიმართოს ოჯახის გაერთიანებაზე ჩვეულებრივი იმიგრაციის პროცედურების მეშვეობით, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული კრიტერიუმი და პირობები გამოიყენება.

ოჯახის გაერთიანება

თუკი მიიღეთ ლტოლვილის სტატუსისა და დამატებითი დაცვის დეკლარაცია, აღნიშნული დეკლარაციის მიღებიდან 12 თვის განმავლობაში უფლებამოსილი ხართ, მიმართოთ მინისტრს ოჯახის განსაზღვრული წევრების ირლანდიაში თქვენთან ერთად შემოსვლისა და გადაადგილების ნებართვისთვის, ან თუ ისინი უკვე იმყოფებიან ირლანდიაში, გადაადგილების ან თქვენთან ერთად დარჩენისთვის.

მინისტრის მიერ საქმის შესწავლისა და გადაწყვეტილების მიხედვით, ოჯახის წევრს, შესაძლოა, მიეცეს ირლანდიაში ცხოვრების ნებართვა განსაზღვრული პერიოდით, არანაკლებ 1 წლის ვადით და განახლების შემთხვევაში არანაკლებ 2 წლით.

ვინ ჩაითვლება ოჯახის წევრად ოჯახის გაერთიანების მიზნებისთვის?

თუკი ხართ მოზარდი განმცხადებელი, თქვენი ოჯახის წევრად განიხილება (i) მეუღლე ან თქვენი პარტნიორი, იმ პირობით, თუ თქვენი ქორწინება ან სამოქალაქო ურთიერთობა ძალაში იყო საერთაშორისო დაცვისთვის მიმართვის დროს; (ii) თქვენი შვილი, სანამ ის არის 18 წლამდე და დასაოჯახებელი, თქვენს მიერ საერთაშორისო დაცვისთვის მიმართვის დროს.

მე ვარ არათანმხლები ბავშვი. ჩემთვის ვინ განიხილება ოჯახის წევრად ოჯახის გაერთიანების მიზნებისთვის?

თქვენი მშობლები და 18 წლამდე ასაკის დაუქორწინებელი დები და ძმები. თქვენი ოჯახი დახასიათდება ოჯახის გაერთიანების მიზნებისთვის მიმართვის დროს.

როგორ უნდა მივმართო ოჯახის გაერთიანებისთვის?

ლტოლვილის სტატუსისა და დამატებითი დაცვის დეკლარაციის მიღებისთანავე თქვენ შეგიძლიათ წერილობით მიმართოთ ოჯახის გაერთიანებისთვის ოჯახის გაერთიანების განყოფილებას, ირლანდიაში ნატურალიზაციისა და იმიგრაციის სამსახურს, 13/14 Burgh Quay, დუბლინი 2.

ოჯახის გაერთიანების განაცხადის პროცედურები

ოჯახის გაერთიანების მიზნით თქვენ უნდა მიმართოთ მინისტრისგან ლტოლვილის სტატუსისა და დამატებითი დაცვის დეკლარაციის მიღებიდან 12 თვის განმავლობაში. მაგალითად, თუკი მიიღეთ ლტოლვილის სტატუსის დეკლარაცია 2017 წლის 1-ლ მარტს, თქვენ უნდა მიმართოთ ოჯახის გაერთიანებისთვის 2018 წლის 1 მარტამდე.

თქვენ უნდა მიმართოთ წერილობითი ფორმით ოჯახის გაერთიანების განყოფილებას, INIS და მიაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- თქვენი სახელი და გვარი, პირადი ნომერი და მისამართი;
- თარიღი, თუ როდის მოგენიჭათ ლტოლვილის სტატუსი ან დამატებითი დაცვა მინისტრის მიერ;
- ოჯახის ყოველი წევრის: სახელი და გვარი, თქვენთან ნათესაური კავშირი, მათი დაბადების თარიღები, ეროვნება და ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი.

კარგი იქნება, თუ კორესპონდენციასთან ერთად წარადგენთ ლტოლვილის ან დამატებითი სტატუსის დეკლარაციის ასლს. ამ დოკუმენტაციის შემდეგ ოჯახის გაერთიანების განყოფილებისგან შესავსებად მიიღებთ კითხვარს. ამ ეტაპზე თქვენ ასევე მოგთხოვენ ორიგინალი დოკუმენტების წარდგენას თქვენი ოჯახის წევრების შესახებ; მაგალითად, მათი დაბადების მოწმობები, მოქალაქის პირადობის მოწმობები და პასპორტები, ორი ახლადგადაღებული ფერადი პასპორტის ფოტოსთან ერთად. ასევე შეიძლება მოგიწიოთ თქვენი გადადგილების დოკუმენტის და თქვენი მისამართის დოკუმენტური მტკიცებულების წარდგენა. თქვენს ინდივიდუალურ საქმის ვითარებაზეა დამოკიდებული, რომ შეიძლება ასევე მოგიწიოთ ქორწინების მოწმობის წარდგენა, თუკი გსურთ ოჯახის გაერთიანება თქვენს ქმართან, ან ცოლთან; ან სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ან დოკუმენტური მტკიცებულება.

კითხვარის შევსებისა და წარდგენისთანავე ოჯახის გაერთიანების განყოფილება განიხილავს თქვენს განაცხადს და თქვენ მიიღებთ წერილობით გადაწყვეტილებას. თუკი თქვენი ოჯახის გაერთიანება დამტკიცდება, თქვენ მიიღებთ გადაწყვეტილების წერილს ნებართვის მონიჭებაზე, იმ თარიღით, როდესაც თქვენი ოჯახი უნდა შემოვიდეს და/ან გადაადგილდეს ქვეყანაში. მნიშვნელოვანია, რომ მოამზადოთ მათი გადაადგილება ამ თარიღამდე ისე, რომ თქვენი ოჯახის წევრ(ებ)ი არ შემოვიდნენ ირლანდიაში იქამდე, ან ამ დღეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახის გაერთიანების ნებართვა შეწყდება ძალაში შესვლიდან.

მე ვარ ოჯახის წევრი, რომელმაც ახლახან მიიღო ნებართვა, რათა შევუერთდე ოჯახს ირლანდიაში. რა უფლებები მაქვს?

თქვენ გაქვთ უფლება, შეხვიდეთ და/ან გადაადგილდეთ ირლანდიაში გარკვეული პერიოდით, არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში და განახლების შემთხვევაში არანაკლებ ორი წლის განმავლობაში. თქვენ, როგორც ოჯახის წევრს, გაქვთ იგივე უფლებები და უფლებამოსილებები, როგორიც თქვენს თავდებს, იმ პირობით, რომ თავდების საერთაშორისო დაცვა ძალაშია და თქვენ ხართ რეზიდენტი ქვეყანაში.

6 გარდამავალი დებულებები

ზოგიერთმა მიმართა საერთაშორისო დაცვაზე 2016 წლის 31 დეკემბრის დაცვის საერთაშორისო აქტის შემუშავებამდე. განსაზღვრული ღონისძიებები გატარდა, რათა განაცხადები ლტოლვილის სტატუსსა და დამატებით დაცვაზე ლტოლვილთა განაცხადების კომისიონერის ოფისიდან (ORAC) და კონკრეტული საჩივრები ლტოლვილთა სააპელაციო ტრიბუნალიდან (RAT) გადასცემოდა ახალი IPO-ს. აღნიშნული განმცხადებლები მიიღებდნენ ინდივიდუალურ წერილებს IPO-სგან მათი განაცხადების გადაცემის ღონისძიებების განმარტებით.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ადგენს საქმეთა ძირითად კატეგორიებს, რომლებიც გადაეცემა IPO-ს. აღსანიშნავია, რომ მარცხენა მხარეს არსებული უჯრები აღნიშნავს განაცხადებს, რომლებიც გაკეთდა 2016 წლის 31 დეკემბრამდე. მეტი ინფორმაცია ხელმისაწვდომია IPO-ს საინფორმაციო ბარათის გარდამავალ დებულებებში: http://ipo.gov.ie/en/IPO/Pages/Transitional_Arrangements გთხოვთ, გაიაროთ კონსულტაცია თქვენს ადვოკატთან, თუკი საჭიროებთ შემდგომ რჩევას თქვენს განაცხადთან დაკავშირებით.

მივმართე ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებით ORAC-ს 2016 წლის 31 დეკემბრამდე და არ მიმიღია რეკომენდაცია ჩემს საქმეზე

თქვენი დოსიე გადაეცემოდა IPO-ს თქვენი საერთაშორისო დაცვის საჭიროების გამოსაკვლევად. ეს გულისხმობს, რომ თქვენ უნდა შეავსოთ ახალი კითხვარი და გაიაროთ ახალი გასაუბრება ერთიანი პროცედურის ფარგლებში.

ჩემი განაცხადი ლტოლვილის სტატუსზე გასაჩივრდა RAT-ში 2016 წლის 31 დეკემბრამდე , თუმცა არ მიმიღია ტრიბუნალის გადაწყვეტილება

თქვენი დოსიე გადაეცემა IPO-ს მხოლოდ დამატებითი დაცვის უფლებამოსილების განსახილველად. თქვენ ასევე გექნებათ ახალი კითხვარი და გასაუბრება მხოლოდ დამატებით დაცვაზე. თუკი IPO უარს იტყვის თქვენი დამატებითი დაცვის განაცხადზე, მინისტრი განიხილავს, მოგენიჭოთ თუ არა დარჩენის ნებართვა. თუკი გაასაჩივრებთ დამატებით დაცვაზე უარს, თქვენს აპელაციაში ჩაერთვება ლტოლვილის სტატუსის აპელაციაც, რომელიც შეჩერებული იყო. ასე რომ, ორივე აპელაცია განიხილება ერთად; მაგალითად, ლტოლვილის სტატუსი და დამატებითი დაცვა.

მე მივმართე დამატებით დაცვაზე ORAC-ს 2016 წლის 31 დეკემბრამდე, მაგრამ განხილვა ჯერ არ დაწყებულა ჩემს განაცხადზე.

თქვენი დოსიე გადაეცემა IPO-ს მხოლოდ დამატებითი დაცვის უფლებამოსილების განსახილველად. თქვენ ასევე გექნებათ ახალი კითხვარი და გასაუბრება მხოლოდ დამატებით დაცვაზე. ORAC-ის და RAT-ის გადაწყვეტილება ლტოლვილის სტატუსზე უარყოფითი რეკომენდაციის შესახებ (რამდენადაც შესაძლებელია) დარჩება ძალაში. თუკი IPO უარს იტყვის თქვენი დამატებითი დაცვის განაცხადზე, მინისტრი განიხილავს, მოგენიჭოთ თუ არა დარჩენის ნებართვა. თქვენ აგრეთვე უფლებამოსილი ხართ, გაასაჩივროთ IPO-ს დამატებითი დაცვის შესახებ უარი IPAT-ში.

ჩემი განაცხადი დამატებით დაცვაზე გასაჩივრდა RAT-ში 2016 წლის 31 დეკემბრამდე. რა მოუვა ჩემს განაცხადს?

IPAT, რომელმაც ჩაანაცვლა RAT, იღებს გადაწყვეტილებას მხოლოდ დამატებითი დაცვის აპელაციებზე. ამის შემდეგ თქვენ უფლებამოსილი ხართ, წერილობით მიმართოთ იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრს „დარჩენის ნებართვის შესახებ“ 1999 წლის იმიგრაციის აქტის s.3-ის მიხედვით. ამ გადაწყვეტილების საფუძველი ზოგჯერ განსხვავდება „დარჩენის ნებართვისგან“, რომელიც გათვალისწინებული იყო 2015 წლის საერთაშორისო დაცვის აქტით. დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, გაესაუბროთ თქვენს სამართლებრივ წარმომადგენელს.

მე შევიტანე აპელაცია RAT-ში დუბლინის რეგულაციის გადაწყვეტილების მიხედვით, 2016 წლის 31 დეკემბრამდე. რა მოუვა ჩემს განაცხადს?

IPAT, რომელმაც ჩაანაცვლა RAT, მხოლოდ დუბლინის რეგულაციის გადაწყვეტილების შესახებ აპელაციაზე იღებს გადაწყვეტილებას. თუკი აპელაცია დაკმაყოფილდება, თქვენი განაცხადი განიხილება ირლანდიაში ჩვეულებრივი პროცედურების შესაბამისად.

7 ხშირად დასმული კითხვები:

კით. რა არის საერთაშორისო დაცვა?

პას. საერთაშორისო დაცვა არის ჩვეულებრივ გამოყენებული ფრაზა ევროკავშირის სამართალში, რომელიც გულისხმობს როგორც ლტოლვილის, ასევე დამატებით სტატუსებს. პირმა, რომელმაც მოითხოვა თავშესაფარი ირლანდიაში, ითხოვს საერთაშორისო დაცვას დევნისგან, ან მის წარმოშობის ქვეყანაში სერიოზული ზიანისგან.

კით. ვინ არის ლტოლვილი?

პას. ლტოლვილი არის პირი, რომელსაც არ შეუძლია საკუთარ ქვეყანაში დაბრუნება, რადგან აქვს დევნის საფუძვლიანი შიში შემდეგი მიზეზების გამო: რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო.

ლტოლვილის სტატუსი არის დაცვის ფორმა, რომელიც გარანტირებულია იმ ხალხის მიერ, რომლებმაც დააკმაყოფილა ლტოლვილის სტატუსი.

კით. რა არის დამატებითი დაცვა?

პას. დამატებითი დაცვა არის ლტოლვილის სტატუსის შემავსებელი. ეს გულისხმობს პირს, რომელსაც ვერ დააბრუნებენ თავისი წარმოშობის ან ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყანაში, ვინაიდან ის დგას მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების სერიოზული რისკის ქვეშ. მნიშვნელოვანი ზიანი გულისხმობს: (i) სიკვდილით დასჯას ან სასიკვდილო განაჩენს; (ii) წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს; (iii) მნიშვნელოვან და პიროვნულ მუქარას სამოქალაქო პირების სიცოცხლის ან პირის წინააღმდეგ გაურკვეველი მიზეზით ძალადობას საერთაშორისო ან ადგილობრივი კონფლიქტის დროს.

კით. რა არის დარჩენის ნებართვა?

პას. დარჩენის ნებართვა განიხილება მხოლოდ მაშინ, თუკი არ მოგენიჭათ ლტოლვილის სტატუსი ან დამატებითი დაცვა. ეს ხდება მაშინ, როდესაც მინისტრი განიხილავს, მოგანიჭოთ თუ არა ირლანდიაში დარჩენის ნებართვა სხვა მიზეზით, როგორიც არის საოჯახო ან პიროვნული მდგომარეობა.

მინისტრი განიხილავს ისეთ ფაქტებს, როგორიცაა:

ა. ირლანდიასთან თქვენი კავშირის არსი;

ბ. საქველმოქმედო განხილვა;

გ. ირლანდიაში და სხვაგან თქვენი რეპუტაცია და ქცევა, მათ შორის კრიმინალური ბრალდებები;

დ. საზოგადოების სასიკეთოდ განხილვა.

როდესაც განიხილება დარჩენის ნებართვა, მინისტრი ასევე მხედველობაში მიიღებს გაძევების აკრძალვას.

კით. რას გულისხმობს გაძევების აკრძალვა?

პას. აღნიშნული პრინციპი ნიშნავს, რომ მინისტრი არ არის უფლებამოსილი, გააძევოს ან დააბრუნოს რომელიმე პირი ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფო საზღვარზე, სადაც, მინისტრის მოსაზრებით, (ა) პირის სიცოცხლეს ან თავისუფლებას ემუქრება საფრთხე რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მოსაზრების მიხედვით; ან (ბ) არსებობს სერიოზული რისკი, რომ პირი გახდება სიკვდილით დასჯის, წამების ან სხვა არადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი.

კით. რა არის "დარჩენის უფლება"?

პას. დარჩენის უფლება გულისხმობს პროცედურას, რომელიც მოქმედებდა 2015 წლის საერთაშორისო დაცვის აქტის ძალაში შესვლამდე. 1999 წლის იმიგრაციის აქტის s.3 მუხლი განსაზღვრავს ფაქტორებს, რომელსაც მინისტრი ითვალისწინებს დარჩენის უფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დროს. ეს დებულებები აგრძელებს მოქმედებას იმ პირებზე, რომელთა დეპორტის საკითხიც განიხილება და რომლებსაც ჯერ წინასწარ არ მიუმართავს თავშესაფრის მოთხოვნით. გარდამავალი საქმეების პატარა ნაწილის (იხ. ქვემოთ) დამუშავება გაგრძელდება აღნიშნული პროცედურებით.

კით. რას ნიშნავს იყო დამოკიდებული მშობლების საერთაშორისო დაცვის მოთხოვნაზე?

პას. ეს გულისხმობს, რომ დამოკიდებული ბავშვის საერთაშორისო დაცვის განაცხადის შეფასება შედის მისი მშობელის განაცხადის შეფასებაში და შესაძლოა, დამოკიდებული იყოს მის შედეგზე. დამოკიდებულ ბავშვს არ ჩაუტარდება ცალკე გასაუბრება, ან მისი დაცვის საჭიროება ცალკე არ განიხილება. თავისი განაცხადის პროცესში მშობელმა უნდა მიუთითოს ყველა მიზეზი, თუ რატომ საჭიროებს ბავშვი

საერთაშორისო დაცვას და/ან უნდა მიენიჭოს ირლანდიაში დარჩენის ნებართვა. მნიშვნელოვანია, გახსოვდეთ, რომ ბავშვებს შეიძლება ჰქონდეთ დამატებითი ან მისი მშობლებისგან განსხვავებული დაცვა.

კით. შემიძლია მივმართო საერთაშორისო დაცვაზე ირლანდიაში, თუ კი ვარ მოქალაქეობის არმქონე?

პას. დიახ, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ ირლანდიაში ლტოლვილის სტატუსის ან დამატებითი დაცვისთვის, თუკი ხართ მოქალაქეობის არმქონე. თქვენი განაცხადი განიხილება თქვენი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის მიხედვით; მაგალითად, ქვეყნის, რომელშიც თქვენ იქამდე ცხოვრობდით.

კით. რა ხდება, თუკი ვარ ინვალიდი და/ან ვსაჭიროებ განსაკუთრებულ მოვლას?

პას. თქვენ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ IPO-ს ინვალიდობის და/ან სხვა განსაკუთრებული საჭიროების შესახებ, რაც უნდა დააფიქსიროთ თქვენს ინდივიდუალურ გასაუბრებისას ისე, რომ IPO-ს, სადაც შესაძლებელია, შეეძლოს დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნილებები.

კით. შეიძლება თუ არა ჩემი ლტოლვილის სტატუსი ან დამატებითი დაცვის დეკლარაცია გაუქმდეს?

პას. დიახ, თქვენი ლტოლვილის სტატუსის ან დამატებითი დაცვის დეკლარაცია შესაძლოა გაუქმდეს წინასწარ განსაზღვრულ შეზღუდულ შემთხვევებში; მაგალითად, თუ შემდგომში აღმოჩნდება, რომ თქვენ არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია მიაწოდეთ საერთაშორისო დაცვაზე თქვენი განაცხადის განხილვის დროს. თუკი ასე მოხდება, თქვენ გამოგეგზავნებათ წერილობითი შეტყობინება მინისტრის წინადადებით, რომ შეიწყვიტოთ სტატუსი ნებისმიერი მიზეზით. გექნებათ შესაძლებლობა, რომ წერილობით გააკეთოთ განცხადებები მინისტრის საპასუხოდ 15 სამუშაო დღის განმავლობაში შეტყობინების მიღებიდან. როგორც კი მინისტრი გადაწყვეტს, რომ გაგიუქმოთ სტატუსი, თქვენ 10 სამუშაო დღის განმავლობაში შეგიძლიათ მიმართოთ ფედერალურ სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად.

კით. სად დავრჩები საერთაშორისო დაცვის პროცედურების განმავლობაში?

პას. თქვენ შემოგთავაზებენ საცხოვრებელს მიღებისა და ინტერგაციის სააგენტოს პირდაპირი მომარაგების ცენტრში; გარდა ამისა, უნდა გქონდეთ თქვენი სახსრები, რომ დააფინანსოთ თქვენი ცხოვრება. თქვენ გაქვთ თავისუფალი არჩევანი, იცხოვროთ ნებისმიერ ადგილას. მიღების სისტემა რეგულირდება ევროკავშირის 2018 წლის S.I. #230 რეგულაციით (მიღების პირობები).

დამატებითი სტატუსის მინიჭება 1-ლ ინსტანციაში



დამატებითი სტატუსი მიენიჭება 1-ლ ინსტანციაში

PTR-ს მინიჭება 1-ლ ინსტანციაში

ლტოლვილის სტატუსზე უარი, SP და PTR 1-ლ ინსტანციაში



8 ყველა საჭირო ორგანიზაციისა და ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია

კიდევ გაქვთ შეკითხვები ახალ ერთიან პროცედურასთან ან საერთაშორისო დაცვის აქტთან დაკავშირებით ამ ბროშურის წაკითხვის შემდგომ?

შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ჩვენს ოფისს და/ან ჰკითხოთ თქვენს ადვოკატს.

ირლანდიის საერთაშორისო დაცვის ოფისი და იმიგრაციის სამსახური
(International Protection Office Irish Naturalisation & Immigration Service)
79-83 Lower Mount Street,
Dublin 2, D02 ND99
ტელ: +353 1 602 8000
ფაქსი: +353 1 602 8122
ელ-ფოსტა: ipo@justice.ie
www.ipo.gov.ie

საერთაშორისო დაცვა სააპელაციო ტრიბუნალი
(International Protection Appeals Tribunal)
6/7 Hanover Street,
Dublin 2, D02 W320
ტელ.: +353 1 474 8400
ადგილობრივი ტელეფონი: 1890 210 458
ფაქსი: +353 1 474 8410
ელ-ფოსტა: info@protectionappeals.ie
www.protectionappeals.ie

ირლანდიის ნატურალიზაციის და იმიგრაციის სერვისი
(Irish Naturalisation & Immigration Service)
იუსტიციის და თანასწორობის დეპარტამენტი (Department of Justice & Equality) 13-14 Burgh Quay,
Dublin 2, D02 XK70
ტელ: +353 1 616 7700
ადგილობრივი ტელეფონი: 1890 551 500
www.inis.gov.ie

მიღებისა და ინტეგრაციის სააგენტო
(Reception and Integration Agency)
P.O. Box 11487, Dublin 2
ტელ: +353 1 418 3200
ფაქსი: +353 1 418 3271
ელ-ფოსტა: RIA_Inbox@justice.ie
www.ria.gov.ie

საერთაშორისო ორგანიზაცია იმიგრაციისთვის
(International Organisation for Migration)
116 Lower Baggot Street,
Dublin 2, D02 R252
ტელ.: +353 1 676 0655
უფასო ზარი: 1800 406 406
ელ-ფოსტა: iomdublin@iom.int
www.ireland.iom.int

დუბლინის იურიდიული დახმარების საბჭო
(Legal Aid Board Dublin)
48/49 North Brunswick Street,
Georges Lane, Dublin 7
D07 PE0C
ტელ: +353 1 646 9600
ფაქსი: +353 1 671 0200
ელ-ფოსტა: lawcentresmithfield@legalaidboard.ie

იურიდიული დახმარების საბჭო
(Legal Aid Board Galway)
9 Francis Street Galway,
H91 NS53
ტელ: +353 91 561 650
ფაქსი: +353 91 563 825
ელ-ფოსტა: galwaylawcentre@legalaidboard.ie

იურიდიული დახმარების საბჭო
(Legal Aid Board Cork)
Popes Quay Law Centre,
North Quay House,
Popes Quay, Shandon,
Cork, T23 HV26
ტელ.: +353 21 4551 686
ფაქსი: +353 21 455 1690
ელ-ფოსტა: lawcentrecorknorth@legalaidboard.ie

ცალკე მყოფი ბავშვისთვის თავშესაფრის მოძიების გუნდი (Team for Separated Children Seeking Asylum), Tusla - ბავშვის და საოჯახო სააგენტო
(Child & Family Agency)
Sir Patrick Dun's Hospital,
Lower Grand Canal Street,
Dublin 2, D02 P667
ტელ: +353 1 647 7000
ფაქსი: +353 1 647 7008
www.tusla.ie

ირლანდიის ლტოლვილთა საბჭო (Irish Refugee Council)
37 Killarney Street,
Mountjoy, Dublin 1
ტელ: +353 1 764 854
ფაქსი: +353 1 672 5927
ელ-ფოსტა: info@irishrefugeecouncil.ie
www.irishrefugeecouncil.ie

Nasc Ireland
Ferry Lane, Dominic Street, Cork
ტელ: +353 21 450 3462
ელ-ფოსტა: info@nascireland.org
www.nascireland.org

Doras Luimni
Central Buildings 51a,
O' Connell Street,
Limerick, V94 268W
ტელ: +353 61 310 328
ელ-ფოსტა: info@dorasluimni.org
www.dorasluimni.org

Crosscare Refugee Service
2 Sackville Place, Dublin 1
ტელ: +353 1 873 2844
ფაქსი: +353 1 872 7003
ელ-ფოსტა: refugeeservice@crosscare.ie
www.crosscare.ie

SPIRASI
213 North Circular Road,
Phibsborough, Dublin 7
ტელ.: +353 1 838 9664
ან +353 1 868 3504
ფაქსი: +353 1 882 3547
ელ-ფოსტა: info@spirasi.ie
www.spirasi.ie

იეზუიტ ლტოლვილთა მომსახურების ცენტრი ირლანდია
(Jesuit Refugee Service Ireland)
The Mews, 20 Upper Gardiner St. Dublin 1.
ტელ.: +353 1 814 8644
www.jrs.ie

UNHCR
102 Pembroke Road,
Ballsbridge, Dublin 4,
Ireland.
ტელ.: + 353 1 6314510
ელ-ფოსტა: iredu@unhcr.org
www.unhcr.ie

www.unhcr.ie

UNHCR
The UN Refugee Agency